



პრესრელიზი

რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“

19-20 ივნისს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართება მეორე რეგიონული კონფერენცია თემაზე „ფული პოლიტიკაში“. კონფერენციის მიზანია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური პარტიების მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სამსახურების, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური ფინანსების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და გამოცდილების გაზიარება, ასევე არსებული ხარვეზებისა და მონიტორინგის გაუმჯობესების გზებზე საუბარი. ამასთან, კონფერენცია შექმნის საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითს და დაეხმარება შესაბამის სტრუქტურებს, დამყარდეს საჭირო კავშირები ექსპერტებს, პოლიტიკოსებს, დონორ ორგანიზაციებსა და პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

აღნიშნული რეგიონული კონფერენცია საქართველოში მეორედ ტარდება და აგრძელებს ტრადიციას, რომელიც წარმატებით დაიწყო 2016 წლის თებერვალში და არის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, ევროპის საბჭოს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის (International IDEA), საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) ერთობლივად ორგანიზებული ღონისძიება.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

Partnership for Good Governance

Netherlands Institute for
Multiparty Democracy



European Union

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE



**TRANSPARENCY
INTERNATIONAL
GEORGIA**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



OSCE ODIHR

